

ქ. თბილისი, ღაზით აღმავშენებლის პროსპექტის №60 და №60ა
შენობების ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის
პროექტისთვის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და
რეკომენდაციები

ხელოვნებათმცოდნე ნატო ჩიტიშვილი



2016

ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა:

დავით აღმაშენებლის გამზირის განაშენიანება უშუალოდ გერმანელ კოლონისტებთანაა დაკავშირებული. XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან გერმანელებმა მტკვრის მარცხენა ნაპირზე ორი დიდი დასახლება შექმნეს – თბილისის კოლონია (Tiflisser Kolonie), სოფელ კუკიაზე, რომელიც მოიცავდა ამჟამინდელ აღმაშენებლის გამზირს და ალექსანდერდორფი (Alexanderdorf), რომელიც მოიცავდა ახლანდელ დიდუბეს, წერეთლის გამზირსა და მის მიმდებარე კვარტლებს. ჩვენთვის საინტერესო ობიექტები თბილისის კოლონიის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე 1819 წელს ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული გერმანელები დასახლდნენ, სადაც ქალაქის მმართველობამ გერმანელებს გადასცა ნაკვეთები გასაშენებლად. გერმანელთა სახლები, რომლებიც მთავარი ქუჩის ორივე მხარეს იყო გაშენებული შიდა მხრიდან ხეხილის დიდ ბაღებს მოიცავდა. კოლონისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ცენტრალური უბნების ფორმირებაში და არსებითად საფუძველი ჩაუყარეს მის გეგმარებით სტრუქტურას.

კოლონია შედგებოდა მთავარი გზის ორივე მხარეს განლაგებული მართკუთხა ნაკვეთებისაგან. შემდგომში ეს მთავარი გზა ქალაქის მარცხენა ნაპირის მთავარ ქუჩად იქცა და მას დიდი მთავრის მიხეილის პატივსაცემად Михайловская улица ეწოდა¹. თანდათან გაშენდა მისი პარალელური ქუჩებიც, რომლებიც უხვი გამწვანებით გამოირჩეოდა. 1862 წელს გერმანელების თხოვნით თბილისის კოლონია ქალაქს შეუერთეს.

¹ XIX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულიდან მიხეილის ქუჩა ერქვა, 1899 წლიდან მიხეილის პროსპექტი უწოდეს. 1918 წელს მას პლესანოვის გამზირი დაერქვა, რომელსაც 1990 წელს დავით აღმაშენებლის გამზირი დაერქვა.



გერმანელთა კოლონია, მტკვრის მარცხენა ნაპირი, 1867 წლის გეგმა

XIX საუკუნის მიწურულისთვის მიხეილის ქუჩა ქალაქის მარცხენა ნაპირის ყველაზე პრესტიჟულ უბნად იქცა. აქ, ძირითადად, მდიდარი გერმანელი კოლონისტები ცხოვრობდნენ. ძველი განაშენიანების დიდი ნაწილი დღემდე შენარჩუნებულია.

მიხეილის ქუჩა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხალხმრავალი ადგილი იყო თბილისში. ქუჩას გერმანელების მიერ გაშენებული რამდენიმე საზოგადოებრივი ბაღი ამშვენებდა. ბაღები, რომლებიც სადამოქოთით გაზით ნათლებოდა, თავშეყრისა და გართობის ადგილს წარმოადგენდა. ზოგან ჩადგმული იყო ბუფეტები, ლუდხანები, ასევე საესტრადო სცენები, სადაც წარმოდგენებს ჩამოსული არტისტები მართავდნენ². განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო ზაფხულობით. მათთვის, ვინც აგარაკებზე გასვლას ვერ ახერხებდა, მიხეილის პროსპექტი გართობისა და დასვენების საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა. სადამოქოთით კი ღამის მთელი ქალაქი იყრიდა აქ თავს.

² *Тифлис и его окрестности* (Тифлис, 1890), с. 63.



გერმანელთა კოლონია, მტკვრის მარცხენა ნაპირი, 1884 წლის გეგმა

ზაფხულობით მიხეილის პროსპექტზე კლუბები ფუნქციონირებდა, სადაც საცეკვაო საღამოები, მეჯლისები იმართებოდა. კონცერტებს მართავდნენ ჩამოსული არტისტები. გარდა კლუბებისა, პროსპექტზე მდებარეობდა რამდენიმე კინოთეატრი – „მოდერნი“, „ლირა“, „ოდეონი“, „აპოლო“, „მუღენ-ელექტრიკი“ და „სატურნი“³. მიხეილის ქუჩაზე განთავსებული იყო რუსული კომიკური ოპერის თეატრი. ოპერის შენობა მდებარეობდა ყოფილ „სან-სუსის“ ბაღში, თბილისის საკრებულოს საზაფხულო ადგილსამყოფელის პირდაპირ.


როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით აღმაშენებლის და მიმდებარე კვარტლების განაშენიანების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი გერმანელ კოლონისტებს მიუძღვით. ისინი საცხოვრებელ თუ საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობას თბილისში მცხოვრებ ევროპელ არქიტექტორებს უკვეთავდნენ. ხშირად ეს უკანასკნელნი საკუთარ საცხოვრებელ ადგილად სწორედ “თბილისის კოლონიას” ირჩევდნენ (მაგ; ა. ზალცმანი, ლ. ბილფელდი, პ. შტერნი და სხვ.).

³ *Тифлис и его окрестности. Иллюстрированный путеводитель, справочная и адресная книжка.* Изд. Тифлисский журнал, 1913.




მისხვილის პროსპექტი და მიმდებარე ტერიტორია. 1900-იანი წლების ფოტოსურათი

უბნის განაშენიანება რეგულარულ პრინციპს ემყარებოდა. მსხვილმასშტაბიანი საზოგადოებრივი შენობების და სამ-ოთხ სართულიანი “შემოსავლიანი” სახლების მშენებლობა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ მსხვილი ვაჭრები, რომელთა შორის აღსანიშნავია ფრიდრიხ ვეტცელი (იგი არაერთი სამრეწველო ობიექტის მეპატრონე იყო, ქონდა საკუთარი სასტუმრო და რამდენიმე საცხოვრებელი შენობა) და ი. მაიერი.



მტკვრის მარცხენა ნაპირი, 1913 წლის გეგმა

დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო საქმიანობა არც ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეწყვეტილა. 1940-იანი წლების მიწურულს დავით აღმაშენებლის პროსპექტის (მაშინდელი პლესანოვის პროსპექტი) და მარჯანიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მოედანი მოეწყო⁴. წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის მოედანს გეგმაში გეგმაში L-ს ფორმის სამი იმპოზანტური შენობა შემოსაზღვრავს. აღნიშნული ნაგებობებიდან ორი საცხოვრებელ კორპუსს წარმოადგენს, მესამეში კი „თბილქალაქპროექტია“ განთავსებული (ნაგებობების მშენებლობა 1948-1956 წლებში დასრულდა. არქ. მ. მელია)⁵. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ასეთ ფართო მშენებლობას ისტორიული განაშენიანების დიდი ნაწილი ემსხვერპლა, მათ შორის ლ. ბილფელდის მიერ 1894-1897 წლებში აშენებული წმ. პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია, რომელიც დავით აღმაშენებლისა და კ. მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე იდგა⁶.



ამ ტერიტორიაზე ისტორიული განაშენიანების დიდი ნაწილი არსებითად შენარჩუნებულია, თუმცა არის როგორც საბჭოთა (1980 წელს არის აშენებული ყოფილი პოლიტგანათლების და ეხლანდელი ისრაელის საელჩოს შენობა (დავით აღმაშენებლის პროსპექტი №61); არქ. ვ. აბრამიშვილი, გ. მირიანაშვილი, ც. მელაშვილი, გ. სალუქვაძე. მთავარი ფასადის მოზაიკის ავტორია ზ.

⁴ სწორედ ამ პერიოდის მშენებლობას შეეწირა ლუთერანული კირხე.

⁵ Т. Квирквелия, Н. Мгаловлишвили, *Архитектура советской Грузии* (Москва, 1986), с. 106-107.

⁶ მ. ბულია, მ. ჯანჯალია, *თბილისი, საქართველოს ძველი ქალაქები* (თბილისი, 2006), გვ. 176.

წერეთელი), ასევე თანამედროვე პერიოდის რამდენიმე ნაგებობა. მათი უმეტესობა ისტორიული უბნისათვის შეუფერებელი ზომითა და არქიტექტურული გადაწყვეტით გამოირჩევა. როგორც შეუსაბამო შენობის დამახასიათებელი მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ ტლანკი, უსახური მრავალსართულიანი ნაგებობა აღმაშენებლის გამზირის №73-ში.



დავით აღმაშენებლის გამზირის №73

2010-2012 წლებში თბილისის მერიამ აღმაშენებლის გამზირზე (მარჯანიშვილის მოედნიდან თამარ მეფის ქუჩამდე) და ზაარბრიუკენის მოედანზე მასშტაბური სამუშაოები ჩაატარა. ისინი მოიცავდა შენობების გამაგრებას, ფასადების რესტავრაციას და ინფრასტრუქტურის საფუძვლიან მოწესრიგებას. შემჭიდროებული ვადების გამო, ხშირ შემთხვევებში საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები მიღებული სტანდარტების უხეში დარღვევით ჩატარდა, რასაც მოჰყვა ისტორიულ შენობათა ავთენტურობის დაკარგვა (ნაძერწი დეკორის, ხისა და ლითონის ორიგინალური ელემენტების გაუმართლებელი გამოცვლა; ფასადების ძველი შელესილობის მოხსნა და ხელახლა შელესვა – ზოგჯერ არმატურის ბადეზე, რამაც შელესილობის „ამოწევა“ გამოიწვია; ზოგან მანსარდების დაშენება სახლებზე, რომელთაც ისინი არასდროს ჰქონიათ და სხვა). თუმცა, მეორე მხრივ, ჩატარებული სამუშაოების შედეგი იყო გამზირისა და მოედნის ზოგადი მიმზიდველობის

გაზრდა, ურბანული ხარისხის გაუმჯობესება და ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება⁷.



დავით აღმაშენებლის გამზირის №№115-121 სახლები

2015 წლიდან თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს პროექტს „ქ. თბილისი, ფიროსმანი-კარგარეთელი-აღმაშენებლის გამზირის და მისი განშტოებების – ზაარბრუკენის მოედნის-მშრალი ხიდისა და ორბელიანის მოედნის განვითარება“. პროექტის ფარგლებში მომზადდა ტერიტორიის განვითარების კონცეფცია, ჩატარდა ცალკეული კვლევები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. 2016 წელს დაიწყო I ეტაპის სამუშაოები, რაც გულისხმობს აღმაშენებლის გამზირის დასაწყისის სახლების რესტავრაციას, მცირე მონაკვეთზე საფეხმავლო ქუჩის მოწყობასა და სხვა ღონისძიებებს. სარესტავრაციო სამუშაოები ეხება ასევე დავით აღმაშენებლის გამზირის №60 და №60 შენობების ფასადებსაც. ამ ნაგებობებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანების საფუძველზე მინიშებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რაც ავალდებულებს საქმის მწარმოებლებს სამუშაოები შესაბამისი ყურადღებით, სიფრთხილითა და შერჩეული სწორი მეთოდოლოგიით წარიმართოს.

⁷ დ. ხოშტარი, გ. ჭანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, ნ. ჩიტიშვილი, ქ. თბილისი, ფიროსმანი-კარგარეთელი-აღმაშენებლის გამზირის და მისი განშტოებების – ზაარბრუკენის მოედნის-მშრალი ხიდისა და ორბელიანის მოედნის განვითარების კონცეფცია, 2015.

**დავით აღმაშენებლის გამზირის №60 და №60ა შენობათა
შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა**

ჩვენთვის საინტერესო შენობები საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. მათ შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაციას ვხვდებით რამდენიმე ავტორის ნაშრომში.

გ. ბერიძის „თბილისის ხუროთმოძღვრების“ მეორე ტომში დართული მცირე თბილისში მოღვაწე არქიტექტორთა ბიოგრაფიულ ცნობარში ალბერტ ზალცმანის მიერ შესრულებულ შენობათა შორის მოხსენიებულია მიხეილის საავადმყოფოც⁸.

ზოგადი ინფორმაცია შეიძლება ინახოს თ. კვირკველიას ნაშრომებში⁹, სადაც ნახსენებია საავადმყოფოს არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის სახელი და ასევე აგების პერიოდი, 1868 წელი. აქვე ის ახსენებს, ფსევდოგოთიკურ სტილში აგებულ (დავით აღმაშენებლის გამზირი №60ა) დავრდომილთა თავშესაფარს, რომელიც მისი შეფასებით წარმოადგენს „გოთიკური არქიტექტურის მოტივების არცთუ წარმატებით ინტერპრეტაციის ცდას“¹⁰. მისივე ცნობით, არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდის აშენებული უნდა იყოს საავადმყოფოს ერთ-ერთი კორპუსი, თუმცა არ უთითებს რომელ შენობაზეა საუბარი.

საავადმყოფოს მშენებლობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა თ. გერსამიას სტატია, რომელშიც საარქივო მასალაზე დაყრდნობით დაწერილებითაა მოთხრობილი ის თუ როგორ დაიწყო მიხეილის საავადმყოფოს მშენებლობა, მისი წინა ისტორია კონკურსებითა და მიწის ნაკვეთების შესყიდვით¹¹. სტატიას დართული აქვს ორი ფოტო, გადაღებული 2006 წელს, რომელზეც საავადმყოფოს მთავარი კორპუსის ფასადია აღბეჭდილი სხვადასხვა კუთხიდან. სტატიაში არაა საუბარი საავადმყოფოს შემადგენელ კორპუსთა არქიტექტურულ სახეზე, ის მხოლოდ საავადმყოფოს აგების ისტორიას ეხება.

⁸ გ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, ტ. 2 (თბილისი, 1963), გვ. 168.

⁹ თ. კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი* (თბილისი, 1985), გვ. 65; თ. კვირკველია, ვლ. ქურთიშვილი, *გერმანელთა დასახლება თბილისში, ლიტერატურა და ხელოვნება*, №1-6, 1995, გვ. 23-24, 30.

¹⁰ თ. კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი*, გვ. 65.

¹¹ თ. გერსამია, *ძველი თბილისის არქიტექტურის ისტორიიდან, საქართველოს სიძველენი*, 10, 2007, გვ. 203-206, სურ. 1-2.

საავადმყოფოს კომპლექსს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მ. მანიას წიგნშიც, რომელშიც ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ბილფელდის აშენებულია, საფიქრებელია, ის ცრუ გუთური სტილის ფასადი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოს ერთ-ერთ ყოფილ საცხოვრებელ ბინას ემიჯნება.“¹²

¹² მ. მანია, *ევროპელი არქიტექტორები თბილისში* (თბილისი, 2006), გვ. 40.

ღაგით აღმაშენებლის ბამზირის №60-ს
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკონსტრუქცია

საარქივო მასალა, აშენების პერიოდი, არქიტექტორი, თავდაპირველი ფუნქცია:

მიხეილის საავადმყოფოს მშენებლობა 1863 წელს გადაწყდა, რომლისთვისაც კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით შექმნილ იქნა სპეციალური კომისია, ანდრია ლიბაუს თავმჯდომარეობით, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ მშენებლობის ორგანიზებას. მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენდა საავადმყოფო შესყიდულ იქნა იოჰან მაიერსისა და გოტლიბ ლანგისგან. სპეციალურად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე 1864 წელს გადაწყდა საავადმყოფოს მშენებლობა ალბერტ ზალცმანის პროექტით განხორციელებულიყო. სწორედ ამ მიზნით იმოგზაურა ზალცმანმა გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში (1865 წლის დეკემბრიდან 1866 წლის აპრილამდე), რათა გასცნობოდა აქ არსებულ საავადმყოფოთა არქიტექტურას¹³. მიხეილის საავადმყოფოს მშენებლობა 1865-1868 წლებში მიმდინარეობდა.¹⁴ შენობა თავდაპირველად ტფილისის საქალაქო საავადმყოფოდ იწოდებოდა, ხოლო 1882 წლიდან მას მიხეილის საავადმყოფო ეწოდა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია დიდი რაოდენობით მასალა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოს საქმიანობასთანაა დაკავშირებული. გარდა უამრავი დოკუმენტისა, რომელიც შეეხება უშუალოდ საავადმყოფოს შიდა საქმიანობასა და ავადმყოფებს, აქ არის სხვადასხვა ცნობები იმ სამშენებლო საქმიანობაზე, რომელიც აქ პერიოდულად წარმოებდა ხოლმე.

მათგან ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია საარქივო საქმე (ფონდი 204, აღწერა 1, საქმე №2531 - უთარიღო), რომელშიც მიხეილის საავადმყოფოს გეგმაა დაცული. მასზე წარმოდგენილია საავადმყოფოს კომპლექსის თავდაპირველი გეგმარება. ამ პროექტის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო კუთხის ორი შენობა კომპლექსის ნაწილებადაა წარმოდგენილი.

¹³ ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, ტ. 2, გვ. 167.

¹⁴ დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: თ. გერსამია, *ძველი თბილისის არქიტექტურის ისტორიიდან*, გვ. 203-206.




ამ გეგმის თანახმად მარცხენა შენობაში ავთიაქი იყო მოწყობილი, ხოლო მარჯვენა – ექიმის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა. 1920 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საარქივო საქმეში დაცულია ავთიაქის ზოგადი აღწერა: „Аптека помещается в двух этажах флигеля Ф/среднемь и подвальномь/ в среднемь этаже: квартира Управляющаго 3 комнаты с кухней и помещение для аптеки, где хранятся и изготовляются лекарства, перевязочный материал и помещается дежурный по аптеке фельдшеръ; в подвальномь этаже находятся три подвала для хранения медикаментовъ и пр. материаловъ, помещение для парового аппарата, изготовляющаго лекарства, дистиллированную воду и для мойки аптечной посуды и рядомъ две комнаты для прислуги и помещение для склада дровъ.“¹⁵

დღეს არსებული შენობების გვერდითა (ეზოს მხარეს არსებული) და უკანა ფასადები სახეცვლილია მათი მოცულობის გაზრდის მხრივ. არქივში დაცულ მასალაში გვხვდება საქმეები თანდართული ხარჯთაღრიცხვებით, სადაც საუბარია ამა თუ იმ კორპუსთან დაკავშირებით სხვადასხვა ფუნქციის სათავეების მიშენებაზე, მომსახურე პერსონალისთვის ცალკე შენობის აგებაზე, ფსიქიატრიული განყოფილებისთვის პავილიონის მიშენებაზე, ქალთა ფსიქიატრიული განყოფილების გაფართოებაზე, პროზექტურის მშენებლობაზე და ა.შ. ზოგიერთ საქმეში შენობათა გეგმებიცაა ჩართული. საარქივო მასალიდან

¹⁵ ფონდი 507, აღწ. 3, საქმე №226: Сведения о павильонах и отделениях больницы с кратким описанием их.

ჩანს, რომ ამ სამუშაოებში 1905 და 1911 წლებში მონაწილეობას იღებდა არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდიც¹⁶.



სამეურნეო შენობები მამაკაცთა ფსიქიატრიული განყოფილებისთვის, ლ. ბილფელდი, 1905

შენობა სპეციალურად საავადმყოფოს ფუნქციისთვის იქნა დაპროექტებული (რაც კიდევ უფრო ზრდის შენობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას), რომელსაც წლების განმავლობაში არ შეცვლია ფუნქცია. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო მოუვლელი შენობის (თუმცა კი მოქმედი საავადმყოფოს!) რეაბილიტაცია ახალ ტექნოლოგიურ, საავადმყოფოსთვის საჭირო მოთხოვნებს მორგება და კვლავ თავდაპირველი ფუნქციით მუშაობის გაგრძელება, შენობა 2015 წელს გაიყიდა და ამ დიდ ტერიტორიაზე სასტუმროსა და სამორინეს მოწყობა იგეგმება. მოხდება როგორც ძველი შენობების გამოყენება ამ ფუნქციით, ასევე აშენდება ახალი კორპუსი.

¹⁶ ფონდი 507, აღწ. 3, საქმე №46: 1. Смета №10 на предполагаемые постройки при отделении умалишенных Тифлисской Михайловской больницы, составлена 1905 года. Приложения: Составлена по урочному положению и по справочным урнам гор. Тифлиса за апрель 1905 года, Архитектор Л. Бильфельд. 2. Проект на устройство в деревянном бараке при мужском отделении умалишенных... 1911 г.

- **არქიტექტურა, გადაკეთებები, შენობათა ფიზიკური მდგომარეობა:**

დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს მიხეილის საავადმყოფოს კომპლექსის შემადგენელი ორი შენობის ფასადების, რომლებიც უშუალოდ გამზირზე გამოდიან, რესტავრაციას. ეს შენობები თავიანთი გეგმარებითა და ფასადთა მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით ზედმიწევნით, სარკისებურად იმეორებენ ერთიმეორეს.



ესაა აგურით ნაგები და შემდგომ შელესილი და შეღებილი ორსართულიანი შენობები, რომელთა მთავარი ფასადიც ქუჩის ხაზს უსწორდება. ფასადების მხატვრული გადაწყვეტა სისადავით გამოირჩევა. გლუვ ზედაპირს დაპირისპირებულია შენობათა კუთხეებში რუსტიკის იმიტაციით გამოყვანილი „ქვები“. ფასადების ორივე სართული სიმეტრიულადაა დანაწევრებული კარ-ფანჯრების შვიდ-შვიდი მართკუთხა ღიობებით.

პირველ სართულზე კარის ღიობი შენობათა კიდეებშია გაჭრილი (მარცხენა შენობის შემთხვევაში – მარჯვნივ, ხოლო მარჯვენა შენობისა – მარცხენა კიდეში). კარ-ფანჯრებს მარტივად პროფილირებული საპირეები შემოუყვებათ. მეორე სართულის დონეზე ღიობებს თარაზული, მარტივი პროფილის სანდრიკები გაუყვებათ. ფასადთა ამგვარი სისადავე სწორედ XIX საუკუნის 60-70-იანი წლების თბილისის არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც 1880-იანი წლებიდან იცვლება, ვლინდება მეტი ინტერესი რთული ხუროთმოძღვრული ფორმებისადმი და დეკორატიული მოტივების უხვად გამოყენებაში.

ორივე ფასადის ცენტრში ხის აივანია გადმოკიდული, ჭვირული მოაჯირებით. რაც მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს, რადგანაც ამ პერიოდში უკვე იშვიათად მიმართავენ ფასადზე ხის გადმოკიდული აივნების თემის გამოყენებას და ჩვენთვის საინტერესო შენობები წარმოადგენს ერთ-ერთ

გვიან აგებულ ნაგებობებს, სადაც ჯერ კიდევ გადმოკიდული გადახურული ხის აივნებია მოწყობილი. ქუჩის მხარეს არსებული აივნები თბილისის საქალაქო (იქნება ეს საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი) არქიტექტურიდან 1860-70-იანი წლებიდან ნელ-ნელა ქრება და 1870 წლების მეორე ნახევრიდან არქიტექტორები მას საერთოდ აღარ მიმართავენ. „თუ თითო-ორი შემთხვევაში დაკიდული გადახურული აივანი კეთდება – ეს უკვე რკინის აივნებია.“¹⁷



გამზირზე გამოშვალ ფასადებს წლების განმავლობაში რაიმე სახის მნიშვნელოვანი გადაკეთება არ განუცდიათ, ამდენად მათი თავდაპირველი სახე სრულადაა მოცემული. შეცვლილია მხოლოდ მარცხენა შენობის ფანჯრების ჩარჩოები, ხის ნაცვლად მეტალოპლასტმასია ჩასმული. შენობათა ეზოში გამოშვალ ფასადებზე, რამდენიმე ფანჯარა ამოქოლილია. მეტ-ნაკლებად აქტიური გადაკეთებაა განხორციელებული მარცხენა შენობაზე, რომლის მარცხენა კიდურა ნაწილში რამდენიმე წლის წინ კარი გაჭრეს, რამაც დაარღვია

¹⁷ ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. 2 (თბილისი, 1963), გვ. 116, 118.

თავდაპირველი ჩანაფიქრი, არა მხოლოდ კონკრეტულად ამ შენობის მხატვრული სახე, არამედ ორი იდენტური შენობის ერთიანობა და სიმეტრია.



შედარებით მეტადაა სახეცვლილი ეზოს მხარეს გამოშვებული ფასადები. ეს გადაკეთებები უპირველესად გამოწვეული იყო საავადმყოფოს საჭიროებებიდან გამომდინარე, მოხდა ამ შენობათა გაფართოება, რამაც შეიწირა აქ არსებული ბაღის ნაწილები.



საპროექტო შენობების თავდაპირველი გეგმარება და ეზოს გამწვანება

თავდაპირველი შენობის კუთხის საზღვარი დაფიქსირებულია ეზოს მხრიდან მარცხენა შენობის გვერდითა ფასადზე, სადაც მთავარი ფასადის მსგავსად კუთხე რუსტირების იმიტაციის მქონე წყობითაა ამოყვანილი. მარჯვენა შენობაზეც მსგავსი გადაწყვეტა იქნებოდა, თუმცა გადაკეთების შედეგად ეს ელემენტი დაიკარგა და კუთხეს ბრტყელი ზედაპირის მქონე პილასტრის სახე აქვს მიცემული.



ეზოს მხრიდან მარცხენა შენობის გვერდითა ფასადი



ეზოს მხრიდან მარჯვენა შენობის გვერდითა ფასადი

ამ ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს შენობათა სრულ რეაბილიტაციას, დაგეგმილია მხოლოდ ფასადთა რესტავრაცია. უნდა ითქვას, რომ ზოგადად მსგავსი მიდგომა არ მიმანია მართებულად, მით უფრო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც შენობის ინტერიერი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული, მისი შიდა კედლები, სართულშუა გადახურვები ცუდ მდგომარეობაშია (მნიშვნელოვანი დაზიანება მარჯვენა კორპუსს უფრო აქვს, მარცხენა კორპუსი ახალი გარემონტებულია) და, პირველ რიგში, სწორედ ამ პრობლემის მოგვარება უნდა მოხდეს, მით უფრო როდესაც საქმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობას ეხება, და შემდგომ უკვე უნდა განხორციელდეს ფასადებზე ზრუნვა.


შენობები თუნუქის სახურავითაა გადახურული, რომლის ქვეშაც შენობას მარტივი პროფილის კარნიზი შენოუყვება. შენობის შელესილი და შემდგომ შეღებილი ფასადების ნაღესობა დაზიანებული გაუმართავი წყალსადინრებისა და მოუვლელობის გამო. განსაკუთრებით ეს ეხება ეზოს მხრიდან მარცხენა შენობას. რიგ ადგილებში ნაღესობაში გამოყვანილი არქიტექტურული

დეტალები, საპირე, თარაზული სარტყელი, კუთხის „რუსტიკა“ დაზიანებულია, ნაღესობა ჩამოშლილია და მოჩანს აგურის წყობა.

მიხეილის საავადმყოფოს ტერიტორია შემოსაზღვრულია ჩვენთვის საინტერესო ორ კუთხის შენობას შორის არსებული ლითონის დეკორატიული (მცენარეული ორნამენტის) ღობით. ლითონის ღობე ჩამაგრებულია ქვის მადალ, დაწახნაგებულ სვეტებს შორის.



ეს ღობე შენობის თანადროული არაა, ის, სავარაუდოდ, XX საუკუნის 40-50-იანი წლებისა უნდა იყოს. არქივში დაცულ გეგმაზე კარგად ჩანს, რომ ღობისთვის ოთხ-ოთხი საყრდენი იყო გამოყენებული (ამჟამად სამ-სამი დიდი და ორი მცირე საყრდენია) და დიდად სავარაუდოა, რომ თავდაპირველი სიმაღლე ღობისა უფრო დაბალი ყოფილიყო. როგორიც მაგალითად შემოუყვება წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკურ ეკლესიას. ეს ღობე 1891 წელს შემოავლეს ტერიტორიას.





წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკეთა ეკლესია და 1891 წლის ღობე

- **დასაცავი ფასეულობები, შენობის მნიშვნელობა:**

მიხეილის საავადმყოფო წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ, საგანგებოდ ამ ფუნქციისთვის აშენებულ შენობას არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელს სამხრეთ კავკასიაში¹⁸. ამდენად, მისი, როგორც მთავარი კორპუსის ასევე დამატებითი შენობებისა თუ ეზოს დაცვა მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, მისი ისტორიისა და არქიტექტურული კომპლექსის ერთიანობის დაცვით. ეს შენობები მონიშნავენ საავადმყოფოში შესასვლელს და მათ შორის არსებული რკინის ცხაურიანი ღობით (ღობე თავისი სტრუქტურით და ზომებით, სავარაუდოდ, XX საუკუნის 40-50-იანი წლების უნდა იყოს) პირველი შთაბეჭდილების მიმცემია მნახველისთვის. ამდენად, ამ შენობათა მნიშვნელობიდან და ასევე ქუჩის განაშენიანებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, დაუშვებელია ყოველგვარი სართულის, ან თუნდაც ყველასთვის ეგზომ საყვარელი მანსარდის დაშენება (როგორც ამ შენობებზე ასევე მათ მიმდებარედ არსებულ შენობებზე).

კომპლექსმა წლების განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც საავადმყოფოს მოთხოვნილებებიდან იყო გამოწვეული; გადაკეთდა ცალკეული ნაწილები, მოხდა კომპლექსში შემავალ კორპუსთა გაფართოება და ა.შ. თუმცა, დღეს მდგარი შენობები ძირითადად ავტენტური სახითაა დაცული, განსაკუთრებით კი საპროექტო კუთხის ორი შენობა. როგორც აღინიშნა, მათი გვერდითა (ეზოს მხარეს მიმართული) და უკანა ფასადები სახეცვლილია მათი

¹⁸ თ. გერსამია, ძველი თბილისის არქიტექტურის ისტორიიდან, გვ. 203.

მოცულობის გაზრდის მხრივ. ცვლილებები განხორციელდა არა ძველის დანგრევით, არამედ ძველ ქსოვილზე ახალი სათავსების მიშენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები არ შეხება შენობათა მთავარ ნაწილს, გამზირზე გამოძვალ ფასადებს, მათ იერსახესა და სართულიანობას. ავთენტურია არა მხოლოდ შენობათა სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურა, არამედ ფასადთა გადაწყვეტა, აივნებითა თუ საფასადო ნაღესობით.

საპროექტო შენობათა ღასაცავი ფასეულობები:

- * სივრცობრივ-გეგმარებითი სტრუქტურა;
- * ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული სტრუქტურა (საფასადო დანაწევრება, არქიტექტურული დეტალების პროფილები, ხის აივნები, ნაღესობა);
- * ღითონის ცხაურიანი დობე და ეზო.

• *სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდოლოგია:*

ტერიტორია, რომელზეც ეს შენობები დგას და მთაღიანად მიხეიღის საავადმყოფოს დანარჩენი კორპუსები გაყიდულია და აი სასტუმროს მოწყობა იგეგმება.

შენობათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომლებიც წარმოადგენენ ა. ზაღცმანის მიერ 1865-68 წლებში აგებული ერთიანი საავადმყოფოს კომპლექსის ნაწილს აუცილებელია ამ შენობათა შენარჩუნება თავდაპირველი ჩანაფიქრის გათვალისწინებითა (სივრცულ-გეგმარებითი და საფასადო გადაწყვეტა) და ავთენტურობის დაცვით (სამშენებლო მასალა, საფასადო ნაღესობა). დღეს რატომღაც მიღებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ძველი ნაღესობის სრულ მოცლასა და მის ახლით ჩანაცვლებას რკინის ბადეზე, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. დაუშვებელია საფასადო ნაღესობის (რომელიც ავთენტურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია) კედლის ზედაპირიდან ჩამოფხეკა (მიუხედავად იმისა ნაღესობით რაიმე სახის პროფიღია გამოყენებული თუ ერთიან ზედაპირს მიუყვება). ამის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა მოხდეს შენობის ნაღესობის შენარჩუნება და მხოლოდ იმ მონაკვეთების დამუშავება, თუ ახლით შეცვლა, რომელიც დაზიანებული და დაკარგულია. და რაც მნიშვნელოვანია, პერიოდულად უნდა ხდებოდეს ნაგებობის ამ მნიშვნელოვანი ნაწიღის შემოწმება და დროულად უნდა იყოს

მიღებული შესაბამისი ზომები, რათა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ძველი და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ახალი ჩარევები.

- **რეკომენდაციები:**

- სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს, რომ თავდაპირველი ნაღესობა მაქსიმალურად იყოს შენარჩუნებული და მოხდეს მხოლოდ იმ მონაკვეთების აღდგენა, სადაც ნაღესობა ჩამოცვენილ-დაზიანებულია. აღსადგენია დაზიანებული, ნაღესობით გამოყვანილი არქიტექტურული დეტალები (ფანჯრის საპირე, კარნიზი).
- შენობათა ინტერიერი დაზიანებულია, როგორც კედლები, ასევე სართულშუა გადახურვები და სანამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება ეს პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია.
- შენობის ხის, მათ შორის აივნის ცალკეული დეტალები მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჩანაცვლდეს ახლით, როდესაც ყველა დეტალის საგულდაგულო შემოწმების შემდგომ ცნობილი გახდება მათი უვარგისობა, სხვა შემთხვევაში ყველა დეტალი ხელუხლებლად უნდა დარჩეს.
- დღეს შენობებზე სხვადასხვა ფერის, უგემოვნო აბრებია მიკრული და ასევე ფასადებზე ელ. გაყვანილობის მართულებია მიმაგრებული. სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ შენობა ამ დანამატების გარეშე უნდა იყოს წარმოდგენილი.
- გამომდინარე იქიდან, რომ ორივე შენობა საავადმყოფოს კომპლექსის ავთენტური ნაწილია ისინი ყოველთვის მასთან კავშირში (კომპლექსის ერთიანობაში) უნდა იყოს განხილული. შენობათა უკანა ნაწილი გადაკეთების შედეგად გაფართოებულია, გამომდინარე იმ დროს საავადმყოფოს წინაშე არსებული საჭიროებებიდან. თუმცა, საარქივო მასალაზე დაყრდნობით დაზუსტებითაა შესაძლებელი თავდაპირველი შენობის ნაწილების მონიშვნა და მას შემდგომ რაც შენობათა ნახაზები სრულად გაკეთდება და დაფიქსირდება ის ცვლილებები რაც დროთა განმავლობაში განიცადეს, ვფიქრობ, დასაშვებია მათი თავდაპირველი გეგმარებით აღდგენა და არსებულ ნაწილებში კვლავ გაწვანების მოწყობა.

- შენობას უნდა დაუბრუნდეს თავდაპირველი გეგმარება; გამომდინარე იქიდან, რომ შენობის გაფართოება (რომელიც მხატვრულ-არქიტექტურული კუთხით არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს) საავადმყოფოს შემდგომი გაზრდილი მოთხოვნილებებით იყო გამოწვეული, ვფიქრობ აუცილებელია, ამ კუთხის შენობებს თავდაპირველი გეგმარება დაუბრუნდეთ.
- თავდაპირველი გეგმარების დაბრუნებისას უნდა აღდგეს ეზოს მხრიდან მარჯვენა შენობის კუთხის მომნიშვნელი რუსტირებული წყობა.
- გამონთავისუფლებული ტერიტორია აუცილებლად კვლავ ტერიტორიის გამწვანებას უნდა დაეთმოს, როგორც ეს თავდაპირველად იქნა არქიტექტორის მიერ ჩაფიქრებული.
- ეზოს მხრიდან მარჯვენა შენობის მარცხენა კიდურა ნაწილში რამდენიმე წლის წინ გაჭრილი კარი უნდა გაუქმდეს, კვლავ ფანჯრის ღიობი მოეწყოს და შედეგად შენობას თავდაპირველი სახე უნდა დაუბრუნდეს.
- მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ხის კარ-ფანჯრებითაა შესაცვლელი, ალათების მსგავსი დანაწევრებით.
- მოსაწესრიგებელია წყლის გადამყვანი მიწები, რომელთა გაუმართაობაც აზიანებს საფასადო ნაღესობას, საფრთხეს უქმნის შენობის მდგრადობას.
- ეზოს მხარეს გამოშავალი, ამჟამად ამოქოლილი ფანჯრები უნდა გაიხსნას.
- აღსადგენია ლითონის ღობის დაზიანებული მცენარეული დეკორატიული ელემენტები და ასევე უნდა შეიცვალოს ალაყაფის კარი.
- აუცილებლად ასაღებია ეზოს ტერიტორიაზე მდგარი ჯიხური.

**დავით აღმაშენებლის ბაგზირის №60ა-ს
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკონსტრუქცია**

• **საარქივო მასალა:**

სამწუხაროდ, ცენტრალურ საისტორიო არქივში ამ შენობის აშენების შესახებ საარქივო მასალა ვერ მოიძებნა, ვერ მოხერხდა იმისი დადგენა თუ ვინაა შენობის ავტორი. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მიხეილის საავადმყოფოს გეგმაზე ეს შენობა, როგორც საავადმყოფოს კომპლექსის ნაწილი დატანილი არაა, რაც მოწმობს იმას, რომ შენობა მოგვიანოდ იქნა შემოერთებული საავადმყოფოს მიერ. საარქივო მასალაში დაცულია ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა საავადმყოფოს ტერიტორიის გაფართოება. ასე მაგალითად, 1882-83 წლებში შეძენილ იქნა ვინმე ცოვიანოვის და ემინოვის სახლები (По проекту приспособления дома Цовьяновой для помещения душевно-больных... О покупке дома Эминова и о переделке мужского отделения умалишенных). როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო შენობაც მოგვიანოდ იქნა შესყიდული საავადმყოფოს მიერ, სადაც თავშესაფარი იქნა მოწყობილი. როდის მოხდა ეს უცნობია, თუმცა 1887 წლის რუკის თანახმად, ამ ადგილას მდგარი შენობა უკვე მიხეილის საავადმყოფოს კუთვნილებაა და აქ თავშესაფარი ფუნქციონირებს.



ძველი ფოტომასალიდან მხოლოდ ერთი ფოტოა შემორჩენილი, რომელიც კარგად ასახავს შენობის თავდაპირველ სახეს და ამდენად, მნიშვნელოვანი წყაროა ნაგებობის თავდაპირველი სახის აღდგენის საქმეში. ფოტო, სავარაუდოდ, 1950-იან წლებშია გადაღებული.



თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ გ. ბეჟანიშვილის პირად არქივში ამ შენობის შესახებ მცირედი ცნობა გვხვდება. კერძოდ, ის მოხსენიებულია იმ შენობათა ჩამონათვალში, რომლებიც დავით აღმაშენებლის გამზირზე რევოლუციამდელ პერიოდში აიგო¹⁹.

- *ისტორია, აშენების პერიოდი, არქიტექტორი:*

შენობა, სავარაუდოდ, 1880-იან წლებში უნდა იყოს აგებული²⁰. ის გამორჩეულია ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით და თბილისში ნეოგოთიკური სტილის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. შენობის თავდაპირველი ფუნქცია საზოგადოებრივი იყო, აქ განთავსებული იყო მიხეილის საავადმყოფოსთან არსებული დავრდომილთა თავშესაფარი, რომლის გაუქმების შემდგომაც აქ კლინიკური ინსტიტუტი ფუნქციონირებდა.

¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, თბილისის ცენტრალური არქივი, ფონდი 156, საქმე №1365, Г. Бежанишвили, Плехановский Проспект, Тбилиси, 1945, с. 4.

²⁰ მ. მანიას მიერ გამოთქმული მოსაზრებით, შენობის ფასადი, სავარაუდოდ, ლ. ბილფელდის მიერ უნდა იყოს აშენებული 1911-1913 წლებში. მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში, გვ. 40.

- **არქიტექტურული აღწერა, ფიზიკური მდგომარეობა:**

შენობის გეგმა წაგრძელებული მართკუთხა ფორმისაა, მისი მთავარი ფასადი გამზირზე გამოდის. აგურით ნაგები შენობა ორსართულიანია, რომელსაც ცენტრალურ ნაწილში სხვენის სართული ადგას (გამზირისკენ სხვენი წრიული ფანჯრით გამოდის). სიმეტრიულად განვითარებული ფასადის ორივე სართული ცხრა-ცხრა ღიობითაა დანაწევრებული, რომელთაც შეისრული ფორმა გააჩნიათ და პროფილირებული საპირეები შემოუყვებათ. დეკორისთვის გამოყენებულია ნეოგოტიკური სტილისთვის დამახასიათებელი შეისრული თაღები, ნაღესობაში გამოყვანილი სამყურა და ოთხყურა პროფილირებული მედალიონები, დეკორაციული შპილები და ქონგურებიანი დაკბილული პარაპეტი, რომლის კიდეები და ცენტრალური ნაწილი დასაფეხუროვანებულია. ფასადი ორფრადაა შეღებილი (თეთრი და ღია მწვანე).




მნიშვნელოვანი დეტალია შემორჩენილი შენობის უკანა ფასადზე (ამჟამად მოგვიანო, უსახურ მინაშენებში მოქცეული), სადაც დარჩენილია ძველი ფანჯრის მოწარჩოება.



XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში როგორც საზოგადოებრივი ასევე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის სხვადასხვა არქიტექტურულ სტილს მიმართავენ, გვხვდება როგორც ფსევდოკლასიციზმური, ასევე მავრიტანული, მოდერნული და მათ შორის ნეოგოთიკური ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ელემენტები. თუმცა, ნეოგოთიკური ელემენტებით აგებული სახლები მაინც მცირეა და როგორც ვ. ბერიძე ასკვნის, „ის მაინც ეპიზოდური მნიშვნელობის ფაქტებია და ევოლუციას მათ მიხედვით თვალს ვერ გავადევნებთ.“²¹ თბილისში ნეოგოთიკური შენობებიდან აღსანიშნავია ი. კარგარეთელის №6 შენობა (არქ. პ. შტერნი, 1895); საცხოვრებელი სახლი უზნაძის ქუჩა №17 (1890-იანი წლები); ღ. ასათიანის ქ. №28, ყოფილი ქალთა III გიმნაზია (არქ. როტინოვი, 1903); ისლამური და ნეოგოთიკური ელემენტების ნაზავია ივ. მაჩაბლის ქ. №18 (სავარაუდოდ, 1860-იანი წლები). ამდენად, თბილისში შემორჩენილ ამ სტილის შენობათაგან უშუალოდ პარალელად, თავიანთი მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის სხვადასვაგვარობიდან გამომდინარე, ვერც ერთი ვერ გამოგვადგება.



ღ. უზნაძის ქუჩა №17



ი. კარგარეთელის ქუჩა №6

შენობის საფასადო დეკორი მოუვლელობისაგან და ნალექისგან დაზიანებულია. რიგ ადგილებში ნაღესობა ჩამოცვენილია და ჩანს კედლის წყობა. ცალკეულ მონაკვეთებში დაზიანებულია ფანჯრების საპირეები, თუმცა დაზიანება მცირეა და მათი თავდაპირველი სახით აღდგენა პრობლემას არ წარმოადგენს. ბევრად ცუდი მდგომარეობაა ინტერიერში, სადაც დაზიანებულია როგორც კედლები, ასევე სართულშუა გადახურვები.

²¹ ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, ტ. 2 (თბილისი, 1963), გვ. 115.



- **გადაკეთებები:**

შენობის ფასადმა წლების განმავლობაში გარკვეული გადაკეთება განიცადა, რის გამოც არქიტექტორის თავდაპირველი ჩანაფიქრი დაკარგულია. გადაკეთება შეეხო ფასადზე გამომავალ ღიობებს (პირველ სართულზე ნაწილი ფანჯრებისა კარის ღიობად იქნა გადაკეთებული), ფანჯრის ჩარჩოებს და შენობის ზედა ნაწილს კარნიზის დონეზე. თუმცა, მიუხედავად ამ ცვლილებებისა, შენობის თავდაპირველი სახის სრულად აღდგენა არსებული მასალის (როგორც ადგილზე შემორჩენილი დეტალების, მაგ. ერთადერთი ძველი ფანჯრის ჩარჩოსი, ასევე ფოტომასალის) საფუძველზე სირთულეს არ წარმოადგენს.

ყურადღება უნდა მიექცეს კარნიზის ზედა ნაწილის აღდგენას, აქ დაკბილული ქონგურებიანი პარაპეტების ზედაპირი ნიშებით იყო დამუშავებული, რომელიც ამჟამად ერთიანი სიბრტყის სახითაა მოცემული. სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას, როდესაც მოხდება ფასადზე ხარაჩოს აღმართვა, ყურადღებით უნდა შემოწმდეს ამ ცვლილების დროს, ხომ არ მოხდა უბრალოდ ნიშების ნალესობით ამოვსება და არა მთლიანად ჩამოფხეკა და შემდგომ ნალესობის დადება.



• **დასაცავი ფასეულობები, შენობის მნიშვნელობა:**

შენობა მნიშვნელოვანწილად ავთენტური სახითაა შემორჩენილი, არა მხოლოდ თავისი სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურით (თუ არ ჩავთვლით მცირედ ცვლილებებს გეგმარებაში, რაც გამოწვეული იყო საავადმყოფოს მოთხოვნილებებიდან მომხდარიყო შენობის გაფართოება), არამედ ფასადთა მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტითა თუ საფასადო ნაღესობით.

შენობა მნიშვნელოვანია როგორც XIX საუკუნის 80-იან წლებში აგებული ნეოგოთიკური სტილის საინტერესო ნიმუში. ამ სტილის მხოლოდ რამდენიმე შენობაა თბილისში აგებული და თითოეული მათგანი გამორჩეულია ფასადთა მხატვრულ-არქიტექტურული და სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურით და ცალკეული ნიმუშების სახითაა შემორჩენილი. ჩვენთვის საინტერესო შენობა მნიშვნელოვანია ასევე ისტორიული კუთხით, თავისი თავდაპირველი ფუნქციიდან გამომდინარე, ის საავადმყოფოსთან არსებულ დაურდომილთა თავშესაფარს წარმოადგენდა.

საპროექტო შენობის დასაცავი ფასეულობები:

- * სივრცობრივ-გეგმარებითი სტრუქტურა;
- * ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული სტრუქტურა (საფასადო დანაწევრება, არქიტექტურული დეტალების პროფილები, ნაღესობა);
- * ფანჯრის ალათა.

- **სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდოლოგია, რეკომენდაციები:**

შენობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი შენარჩუნება თავდაპირველი ჩანაფიქრის გათვალისწინებითა (სივრცულ-გეგმარებითი და საფასადო გადაწყვეტა) და ავთენტურობის დაცვით (სამშენებლო მასალა, საფასადო ნაღესობა). დღეს რატომღაც საქართველოში ფართოდ მიღებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ძველი ნაღესობის სრულ მოცლასა და რკინის ბადეზე მისი ახლით ჩანაცვლებას, ვფიქრობ, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. დაუშვებელია საფასადო ნაღესობის (რომელიც ავთენტურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია) კედლის ზედაპირიდან ჩამოფხეკა (მიუხედავად იმისა ნაღესობით რაიმე სახის პროფილია გამოყვანილი თუ ერთიან ზედაპირს მიუყვება), თუ კი ის ექვემდებარება რესტავრაციას²². ამის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა მოხდეს შენობის ნაღესობის შენარჩუნება და მხოლოდ იმ მონაკვეთების დამუშავება, თუ ახლით შეცვლა, რომელიც დაზიანებული და დაკარგულია. და რაც მნიშვნელოვანია, პერიოდულად (წელიწადში ერთხელ)²³ უნდა ხდებოდეს ნაგებობის ფასადის ნაღესობის შემოწმება და დროულად უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ზომები, რათა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ძველი და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ახალი ჩარევები.

- **რეკომენდაციები:**

- მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე დაგეგმილია შენობათა (№60 და 60ა) მხოლოდ ფასადების რესტავრაცია, ვფიქრობ, პირველ რიგში აუცილებელია შენობის ინტერიერის მოწესრიგება,
- მსგავსად ზემოთ აღწერილი შენობებისა (დავით აღმაშენებლის გამზ. №60), ამ შემთხვევაშიც სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს, რომ თავდაპირველი ნაღესობა მაქსიმალურად იყოს შენარჩუნებული და მოხდეს მხოლოდ იმ მონაკვეთების აღდგენა, სადაც ნაღესობა ჩამოცვენილ-დაზიანებულია.

²² T. Bidner, M. Pescoller, A. Diekamp, W. Hauser, Architectural surfaces in cultural heritage – Conservation and Restoration of Plastered Facades. The „Liebfrauenkirche” in Kitzbühel, Tyrol, Austria, *Heritage, Weathering and Conservation, 8th Thematic Network on Cultural and Historic Heritage Scientific Meeting and Stone, Weathering and Atmospheric Pollution Network Scientific Meeting*, Madrid, 2006, p. 22.

²³ S. Vadstrup, *Conservation of Plaster Architecture on Facades – Working Techniques and Repair Methods* (Centre for Building Preservation, RAADVAD, Denmark), 2008, pp. 45-46.

- თავდაპირველი სახითაა აღსადგენი შენობის ზედა ნაწილი, პარაპეტი არსებული ძველი ფოტომასალის მიხედვით. სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისას, როდესაც მოხდება ფასადზე ხარაჩოს აღმართვა, ყურადღებით უნდა შემოწმდეს შენობის პარაპეტის სახეცვლის დროს, ხომ არ მოხდა უბრალოდ ნიშების ნალესობით ამოვსება და არა მთლიანად ჩამოფხეკა და შემდგომ ნალესობის დადება. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ნალესობის მოგვიანო ფენა მოიხსნება და ძველი გამაგრდება.
- ორივე სართულის დონეზე ფანჯრის ალატები შეცვლილია და თავდაპირველი სახე დაკარგული აქვთ. აუცილებელია მათი თავდაპირველი სახით აღდგენა, რომლის დიზაინისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას შენობის უკანა მხარეს შემორჩენილი ფანჯრის თავდაპირველი ჩარჩო.
- მოსახსნელია ფასადზე არსებული დიდი აბრა; საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი მცირე ზომის, შენობისთვის შესაფერისი დიზაინისა და შეფერილობის მქონე აბრით ჩანაცვლება; ასევე მოსახსნელია კედელზე გაყვანილი ელ. გაყვანილობის მართულები.
- მოსაწესრიგებელია წყლის გადამყვანი მიწები, რომელთა გაუმართაობაც ძლიერ აზიანებს საფასადო ნალესობას, საფრთხეს უქმნის შენობის მდგრადობას.